

დოკუმენტის №: 0007575739

მოწმის დაკითხვის ოქმი

20.12.2015

ქ. თბილისი

ოქმის შემდგენი პირი: ნუგზარ ნათელაშვილი, საქართველოს შსს ქ.
თბილისის პოლიციის დეპარტამენტის
დეტექტივების სამმართველოს I განყოფილების
დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი

საქმის №: 010201215001

დაკითხვის დაწყების დრო: 07 : 50

დაკითხვის დასრულების დრო: 08 : 55

დაკითხვის ჩატარების ადგილი: საგამომძიებო ორგანო, ვაკე-საბურთალოს
პოლიციის მე-4 განყოფილება

დასაკითხი პირის მონაცემები:

სახელი : ირინე;

გვარი : მარქაროვი;

დაბადების თარიღი :

დაბადების ადგილი

მოქალაქეობა :

განათლება :

ოჯახური მდგომარეობა

პირადი ნომერი :

რეგისტრაციის მისამართი: ქვეყანა: საქართველო, ქალაქი: თბილისი,

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი: ;

მობ.ტელეფონი:

მობ.ტელეფონი: !

რა ენაზე სურს ჩვენების მიცემა:

ქართულ ენაზე

მოწმის უფლება-მოვალეობები:

1. მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ; დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს; არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.
2. თუ მოწმე არ გამოცხადდება არასავატიო მიზეზით, იგი შეიძლება

დაკითხული პირის ხელმოწერა: *ირინე მარქაროვი*

იმულებით მოიყვანონ. გამოუცხადებლობის, თავმჯდომარის განკარგულებათა შეუსრულებლობის, საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის.

3. ჩვენებაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების მიცემისათვის, განზრახ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის მოწმე პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-371,371¹,373-ე მუხლებით, ამასთან, მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

4. მოწმეს უფლება აქვს: იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული; ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით; აცილება მისცეს თარჯიმანს; საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება; გაეცნოს დაკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამომიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, გააკეთოს განცხადება გამომიების უკანონო მეთოდების შესახებ; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, სადაც ჩაწერილია მისი ჩვენება, და მოითხოვოს მასში დამატებების, ცვლილებებისა და დაზუსტებების შეტანა, ისარგებლოს წერილობითი ჩანიშვნებითა და დოკუმენტებით; არ მისცეს ჩვენება, რომელიც ამხელს მას ან მის ახლო ნათესავებს დანაშაულის ჩადენაში; მონაწილეობა მიიღოს საგამომიებო მოქმედების ჩატარებაში; გაეცნოს ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც ოქმში შეიტანება. (1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მოქმედებს 2012 წლის 1 ოქტომბრამდე).

განმარტა უფლება-მოვალეობები: გ. ძიჯიყვი

პირის ჩვენება:

გამომიების მიერ განმარტა ჩემი უფლება მოვალეობები მათ შორის ადვოკატის ყოლის უფლება რასაც გამომიების ამ ეტაპზე არ ვსაჭიროებ და ჩემს ინტერესებს დავიცავ მე თვითონ. გაფრთხილებული ვარ შეგნებულად ცრუ ჩვენების და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. განმარტა უფლება არ მივცე ჩვენება ჩემი ან ჩემი ახლო ნათესავის წინააღმდეგ, რაც ჩემთვის სრულად გასაგებია. მოგახსენებთ, რომ ეროვნებით ვარ სომეხი, მაგრამ ქართულ ენაზე წერა, კითხვა და საუბარი ვიცი კარგად, თარჯიმნის მომსახურებას არ ვსაჭიროებ და ჩვენებას მოგცემთ ქართულ ენაზე. საქმის ირგვლივ და ტქვენს მიერ დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ვცხოვრობ ზემოაღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად. მოგახსენებთ რომ ომარ ქაფიაშვილს და მის ოჯახს მე ვიცნობდი. ისინი ცხოვრობენ ჩემი საცხოვრებელი კორპუსის მეზობლად, კერძოდ გრ. ფერაძის ქ. N1ა კორპუსში, პირველ სართულზე. ომარ ქაფიაშვილთან ერთად ცხოვრობენ მისი მეუღლე მაგდა პაპიძე და დედა დარეჯან ქაფიაშვილი. ომარის და მაგრადას ყავდათ 4 წლის თორნიკე ქაფიაშვილი. ვიცი რომ ომარ ქაფიაშვილი მუშაობდა სამხედრო ნაწილში, კონკრეტულად რომელ ნაწილში მე არ ვიცი. რაც შეეხება მაგრა პაპიძეს, იგი მუშაობს ჩვენს უბანშივე, კერძოდ აღმასენების ხეივანიდან ჩვენს უბანში ჩამოსასვლელთან არსებულ "ლუკოილის" ბენზინგასამართ სადგურზე. მაღაზიაში გამყიდველად. თორნიკე ქაფიაშვილი დადიოდა ზაღში. 2015 წლის 19 დეკემბერს დღის განმავლობაში ვიმყოფებოდი სახლში. დაახლოებით 20:00 საათი იქნებოდა, მე და ჩემი ქალიშვილი ალა მარქაროვი, სტუმრად გადავედით ომარ ქაფიაშვილის სახლში, ომარის დედასთან დარეჯან ქაფიაშვილთან. დარეჯანთან მე და ჩემი შვილი დავგრძობთ დაახლოებით 3 საათს, ვენმარებოდი სარეცხის დასანაგრებელი შპილკების აწყობაში თან ვასუბრობდით სხვადასხვა პირადულ

დაკითხული პირის ხელმოწერა : გ. ძიჯიყვი

საკითხებზე. ქაფიაშვილებთან სახში ყოფნის პერიოდში ომარი და თორნიკე არ მინახავს. მაგდა პაპიძე კი ვნახე. იგი რამოდენიმეჯერ შემოვიდა დარეჯანთან ოთახში, სარეცხის მანქანაში შეყარა სარეცხი, მაგრამ არ გაჩერებულა და ისევ გავიდა უკან, მეორედ უკვე სარეცხის გამოსაღებად შემოვიდა. მაგდა ჩვენთან ერთად არ გაჩერებულა და არ გვისაუბრია. მინდა მოგახსენოთ რომ დარეჯანი მართალია ერთ სახლში ცხოვრობს შვილთან და რძალთან ერთად, მაგრამ მას აქვს ცალკე ერთი ოთახი, სადაც ის ცხოვრობს. დარეჯანისგან მე და ჩემი ქალიშვილი წამოვედით დაახლოებით 23:00 საათზე. სახლში მისვლის შემდეგ მე მალევე დავიძინე. დაახლოებით იქნებოდა 20 დეკემბრის 03:30 საათი, გამაღვიმა ჩვენი ბინის კარზე კაკუნმა. ჩემმა ქალიშვილმა ალა მარქაროვმა გააღო კარი. კართან იდგა ჩვენს მიზობელ კორპუსში მცხოვრები, ალას ყოფილი კლასელი

რომელიც შემოვიდა სახლში. ალას უთხრა "ომარი ქაფიაშვილი და მისი პატარა შვილი თორნიკე დაიღუპნენო. მე ამის გაგებაზე მალე ავღელდი."


ამასთან ასეთი საშინელი ამბის გაგებამ მალე იმოქმედა ჩემზე. თავს ძალია დავატანე და ავდექი, ჩავიცვი და მე და ჩემი ქალიშვილი გამოვედი სახლიდან, წავედი ქაფიაშვილების სახლისკენ. მათი კორპუსის სადარბაზოსთან რომ მივედი დავინახე, რომ იქვე იდგა ქაფიაშვილების ოჯახის შავი ფერის მანქანა, მარკა და მოდელი არ ვიცი, მანქანებში ვერ ვერკვევი, მაქნასთან ახლოს, მიწაზე დასვენებულები იყვნენ ომარი ქაფიაშვილი და მისი 4 წლის შვილი თორნიკე ქაფიაშვილის ცხედრები. მათ სხეულზე ნაჭრები ჰქონდათ გადაფარებული, ამიტომ მათი სახეები არ დამინახავს. ადგილზე იყვნენ პოლიციის თანამშრომლები. მე ავედი დარეჯან ქაფიაშვილთან სახლში, მაგრამ მასთან დალაპარაკება ვერ შევძელი. იყო ძალიან აღელვებული, ტიროდა და არავის გვისმენდა. ამ დროს მაგდა პაპიძე არ მინახავს, იგი გაყვანილი ჰყოლიათ მეზობელთან. ჩემი შესვლის მომენტშივე დარეჯანთან ოთახში შემოვიდნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც მთხოვეს გავსულიყავი სახლიდან და ამასთან დარეჯანიც წაიყვანეს. მაგრამ როგორც მოგახსენეთ საერთოდ არ მინახავს. გამოვედი ისევ კორპუსის ეზოში, სადაც შერებილი იყვნენ მეზობლები. მე როგორც მოგახსენეთ

ნერვიულობის გამო თავს შეუძლოდ ვგრძნობდი, ამიტომ ჩემს ქალიშვილთან ერთად წავედი ჩემს მეზობელთან და მეგობართან რომელიც ეზოში არ

ქმინა. ჩანდა. ვიფიქრე რომ მან არაფერი იცოდა. მართლაც მე და ჩემმა ქალიშვილმა გავადვიმეთ იგი და ვუთხარით რაც მოხდა ჩვენს უბანში. ის ჩაიცვა და ერთად წამოვედით მისგან, გვინდოდა გვენახა დარეჯან ქაფიაშვილი. ეზოში მისულეხს შეგვხვდნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც გაგვესაუბრნენ და გვთხოვეს ჩვენების მისაცემად წავყოლოდით პოლიციაში, რაზეც ჩვენ თანხმობა განვუცხადეთ.


კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ქაფიაშვილების ოჯახს ვიცნობ დაახლოებით 20 წელია. დარეჯან ქაფიაშვილთან ვმეგობრობ, რაც შეეხება ომარი ქაფიაშვილს და მის მეუღლეს მაგრა პაპიძეს, მათაც კარგად ვიცნობ მაგრამ ახლო ურთიერთობა არ მაქვს, შესაბამისად მათ შესახებ ვერაფერს ვეტყვით. ომარის და მაგდას, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ყავთ 4 წლის შვილი თორნიკე ქაფიაშვილი. ხანდახან, როცა თორნიკეს მშობლებს და ბებიას არ ეცალათ და იყვნენ სამუშაოზე, ჩემს შვილს ალა მარქაროვს თორნიკე გამოყავდა ხოლმე ბაღიდან.

ჩვენება დაბეჭდილია ჩემი თანხებით დასაბუთებული სწორად და ვანეხ ხელს. ი. მ. მუსიხივი

ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა: 

დაკითხული პირის ხელმოწერა: ი. მ. მუსიხივი

ნუგზარ ნათელაშვილი



დაკითხული პირის ხელმოწერა : ი. შიქიძე -